სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...“

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
22
აგვისტო
№101 (10433)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხოლოდ ურთიერთსიყვარულისა და გატანის სულისკვეთებით

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა ამჟამად ურთულეს სოციალურ-ეკონომიკური პირობების წნეხს განიცდის. სახალხო მეურნეობის მთელ რიგ უბნებზე ვითარების სტაბილიზაციისათვის მიმართული ღონისძიებებს ჯერ კიდევ ვერ მოაქვს სასურველი შედეგი. სტიქიით დაზარალებული რეგიონების დღეგანაზე ყურადღების, გადატანამ მნიშვნელოვნად შეაფერხა სოფლების სოციალური კეთილმოწყობის სამუშაოების ტემპი და მასშტაბები. ხშირ შემთხვევაში ადგილებზე აწყდებიან ელემენტარული სამშენებლო, საწვავი, თუ სხვა მასალების მწვავე დეფიციტს. მიუხედავად თავჩენილი სიძნელეებისა, საწარმოების და ორგანიზაციების მესვეურები გულმოდგინედ ცდილობენ გამონახონ მატერიალური რესურსების მობილიზების გზები. ეძებენ ახალ სამეურნეო კავშირებს, წარმოებული პროდუქციის ბარტერული გაცვლის ხელსაყრელ არხებს და საშუალებებს. ერთი სიტყვით, წარმოშობილი არაორდინალური სირთულეები თავისთავად აიძულებს ადამიანებს იაზროვნონ ახლებურად, გამოიჩინონ მეურნეული ფხა და ორგანიზატორიული ალღო. რა თქმა უნდა, ყოველ ასეთ სამეურნეო-კომერციულ ინიციატივას ხელისუფლების ორგანოების მიერ ყოველნაირად შეეწყობა ხელი, თუ იგი კანონიერების ფარგლებს არ სცილდება. მაგრამ იგივე ოფიციალური ორგანოები უმკაცრეს სანქციებს გაატარებენ ყველა იმათ მიმართ, ვინც საძრახი გზებით, არამართლზომიერი მოქმედებით, ყოვლად შეუწყნარებელი მაქინაციებით ეცდება სახალხო ქონების დატაცებაგანიავებას, საკუთარი ჯიბის გასქელებას.

მონდომებით ილვწიან რესპუბლიკის ეკონომიკის წინ წამოსაწევად ჩვენი რეგიონის შრომითი კოლექტივები. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ადგილებზე ახალი ეკონომიკური სტრუქტურების დასანერგავად. სულ უფრო დახვეწილ და ოპტიმალურ ფორმებს აღწევს იჯარის მრავალსახა მოდელი, რომლის რეალურ ეკონომიკურ შედეგებს უკვე იმკიან ხოფლის მეურნეობის მუშაკები. ამ მეთოდით მუშაობამ და შრომის სწორმა ორგანიზაციამ მომთხოვნელობის გაძლიერებამ შესაძლებლობა მისცა ზედაეწერის, ინგირის მეურნეობებს, ნარაზენის, ახალაბასთუმნის, ახალკახათის და ზოგიერთ სხვა კოლექტივებს გარკვეული წარმატებები მოეპოვებინათ ჩაის ფოთლის დამზადების საქმეში. არსებობს რეალური წინამძღვრები იმისა, რომ საზოგადოებრივ და კერძო სექტორში მარცვლეულის კარგი მოსავალი მოიწიონ. მაგრამ სამწუხაროდ საჭირო მობილიზებულობა არ იგრძნობა ცალკეულ სოფლებში. და ეს ყოვლად შეუწყნარებელია. განსაკუთრებით მოუთმენელია ასეთი მოშვებულობა ახლა, როცა ჭირნახულის აღების უმკაცრესი კამპანია იწყება. ახლა, როგორც არასდროს, ყოველი ჩვენთაგანი, სოფლად, მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი უპირველეს ყოვლისა ახლადარჩეული საკრებულოების წევრები უნდა იჩენდნენ განსაკუთრებულ სიმტკიცეს, შეუპოვრობას, შემოქმედებით საზრიანობას და პრინციპულობას. გარდა პირადი, ოჯახური საზრუნავისა, მათ ძალისხმევას იმპულსს უნდა აძლევდეს მაღალი მამულიშვილური შეგნება, წარუვალი ეროვნული ინტერესები.

ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ურთულესი პრობლემების გადაწყვეტა გველის. და ამას გადამთიელი არ გადაგვიჭრის. ყველაფერი ჩვენი ხელებით და ჭკუით უნდა დაიძლიოთ ვენდოთ, მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს, პატივი ვცეთ ხელმძღვანელის დავალებას, დავამკვიდროთ ყველგან ურთიერთგატანის ატმოსფერო.

მხოლოდ ასეთი განწყობილებით ავალორძინებთ მრავალ ჭირნანახ სამშობლოს.

## მიმართვა

საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მიხეილ გორბაჩოვის მიერ სსრკ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობასთან დაკავშირებით, სსრკ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას 1991 წლის 19 აგვისტოდან, სსრკ კონსტიტუციის შესაბამისად, შეუდგა სსრკ ვიცე-პრეზიდენტი გენადი იანაევი. გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა საბჭოთა კავშირის ცალკეულ ადგილებში, 6 თვის ვადით, 1991 წლის 19 აგვისტოს 04 საათიდან, მოსკოვის დროით. საგანგებო მდგომარეობის კონკრეტული რეგიონები მითითებული არ ყოფილა. შეიქმნა სსრკ-ში საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი.

ეს განცხადებები საქართველოს ხელისუფლებისათვის მოულოდნელი იყო. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნიათ, რომ შექმნილ ვითარებაში მთავარია, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა.

მივმართავთ საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, გაითვალისწინონ შექმნილი ვითარება, ერთიანი, შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა.

მოვუწოდებთ ყველას, ვიყოთ სამუშაო ადგილებზე, შევასრულოთ სამსახურებრივი მოვალეობა, არ ავყვეთ პროვოკაციებს, არ დავუშვათ თვითნებური მოქმედება. დავემორჩილოთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებებს.

დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ ამგვარად შევძლებთ ჩვენს რესპუბლიკაში სამოქალაქო სიმშვიდისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

იმედია, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა გამოიჩენს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებულობასა და პასუხისმგებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი;
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი;
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

თბილისი. 1991 წლის 19 აგვისტო.

## რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება

პარასკევს, 9 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ქალაქ ცხინვალის მილიციის ახალ უფროსად დაინიშნა ოს ნაციონალისტთა ერთ-ერთი ლიდერი, „ადამონ ნიხასის“ აქტიური მოღვაწე ვალერი გაზაევი.

ვალერი გაზაევის, საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკური გეზის ცნობილი მოწინააღმდეგის დანიშვნა აიხსნება იმით, რომ საქართველოს მთავრობა მზად არის წავიდეს ნებისმიერ გონივრულ კომპრომისზე, რათა აღკვეთოს ოსი ექსტრემისტების შეიარაღებული ბანდების ყაჩაღობა და ძალადობა.

იმავე საღამოს ვალერი გაზაევი შეიპყრო შეიარაღებულ ოსთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა და იგი უცნობი მიმართულებით წაიყვანეს.

ის, რომ არ სურთ ცნონ ეროვნებით ოსი გაზაევი და ჩაიდინეს მის მიმართ ძალადობის აქტი, გამოწვეულია მისი ერთადერთი გადაწყვეტილებით — მტკიცედ ებრძოლოს ტერორისტებსა და ბანდიტებს, რომლებიც არბევენ მშვიდობიან მოსახლეობას.

ოსი ექსტრემისტებისა და კრიმინალური ბანდების ხელმძღვანელებისათვის, რომელთა ძირითადი საქმიანობა ქართველი და ოსი მოსახლეობის ძარცვაა, ხოლო თავს ეროვნული უფლებებისათვის მებრძოლებად აცხადებენ, ამ შემთხვევაში გადაცებულის არც ეროვნებას, არც პოლიტიკურ შეხედულებებს არ აქვთ მნიშვნელობა, რადგან საფრთხე შეექმნა მათ „უფლებას“ — დაუსჯელად ძარცვონ და ხოცონ ყოვლად უდანაშაულო ადამიანები, როგორც ქართველები, ისე ოსები.

ერთობ საგულისხმოა, რომ უკვე 10 აგვისტოს თვითმარქვია „ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ“ გამოაცხადა, რომ თანამდებობაზე აღადგინეს მილიციის ყოფილი უფროსი ყაზბეგ თედეევი, რომელსაც შემრიგებლური (იქნება კი — ხელშემწყობის) პოზიცია ეკავა ექსტრემისტების მიმართ.

ძებნის მიუხედავად, ვალერი გაზაევის ადგილსამყოფელი კვლავ უცნობია. არის სერიოზული საფუძველი შეშფოთებისა, რომ მას შეიძლება ფიზიკურად გაუსწორონ ანგარიში.

მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ თვალნათლივ ადასტურებს, რომ ცხინვალში მიმდინარე მოვლენები განპირობებულია არა ეთნიკური, არამედ პოლიტიკური მიზეზებით, რომ სინამდვილეში ოსი ექსტრემისტებისა და სხვა კრიმინალური ელემენტების ხელით ხორციელდება შეიარაღებული პროვოკაციები, რომელთა მიზანია მოსახლეობის ტერორიზება და სამაჩაბლოში ვითარების სტაბილიზაციისა და მოწესრიგებისათვის გამიზნული საქართველოს ხელმძღვანელობის ნებისმიერი ღონისძიების ჩაშლა.

**არჩილ ჭირაქაძე,**
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი.

## იქმნება ფონდი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით ჩვენს რესპუბლიკაში სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებით იქმნება განსაკუთრებული საბინაო ფონდი. მას პირველ რიგში გამოიყენებენ ჩვენს რესპუბლიკაში საცხოვრებლად ჩამოსვლის მსურველთა და სტიქიური უბედურებით დაზარალებული ოჯახების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე ცალკეულ ქალაქებსა და სოფლებში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, ერთიან სახელმწიფო ფონდს უფლება ეძლევა გამოისყიდოს უკანასკნელ ხანებში საქართველოდან ემიგრირებული ოჯახებისაგან და იმ მოქალაქეთა მიერ შესყიდული სახლები, რომლებმაც ისინი აგარაკებად შეიძინეს და იქ მუდმივად არ ცხოვრობენ.

საზოგადოება დიდი ხანია განიცდის სულიერ დეგრადაციას, ღვთისადმი ურწმუნოებისა და სულიერი სიმდაბლის კლანჭებში მოექცა ადამიანი.. შეილახა უმთავრესი—ზნეობა, რამაც სულის გახრწნამდე მიგვიყვანა. ერთადერთი ხსნა სულიერ განწმენდაშია, ეს გზა კი მხოლოდ ღმერთთან მიგვიყვანს... წლების განმავლობაში ღმერთის უგულებელყოფამ რწმენის გაყინვამდე მიიყვანა ადამიანი. თითქოს კვლავ გაღვიძდა უფლისადმი პატივი, მაგრამ, ვაი, რომ ხშირად გარეგნულად, ფიზიკურად მლტოლველნი ჭარბობენ კრძალვით მუხლმოყრილ მლოცველებს, არადა „განკითხვის დღეს" მხოლოდ შინაგანად სუფთა ადამიანები გადურჩებიან.

ეს ყველანაირ პრობლემაზე მაღლა დგას. ამას არც შეიძლება რაიმე პრობლემის სახე მივცეთ. საუბარი ვთხოვეთ მაცხოვრის კარის ეკლესიის მოძღვარს მამაო ზაქარიას:

# ხსნა სულიერ განწმენდაშია...

—მამაო, სამწუხაროდ საზოგადოება დაშორდა იმ ზღვარს, რომლის იქითაც ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრება სუფევს. ალბათ მიზეზთა ხათავე ქრისტიანული წესების მიჩქმალვაში უნდა ვეძიოთ..

—ადამიანისთვის რელიგიური გრძნობა და მისი გამოხატულება ღვთის მიერ მოცემული ბუნებრივი თვისებაა, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში მჟღავნდება მიუხედავად იმისა, შეიცნო თუ არა მან ჭეშმარიტი ღმერთი და საერთოდ, აღიარებს თუ არა მას.

ჩვენ, ქრისტიანები, თაყვანს ვცემთ ერთ სამგვამოვნებით ცნობილ ღმერთს, მამას, ძეს და სული წმიდას და მართლმადიდებლობის მადლით ვიცით მისკენ სავალი სწორი გზა.

ქრისტიანული წესი ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა, ის ჩვენ მოგვეცა ღვთივ გამოცხადებით და ღმერთშემოსილი წმიდა მამების მიერ დადგინდა და დაკანონდა, რომლის დაცვა აუცილებელია ყოველი ჩვენთაგანისთვის. დოგმისგან განსხვავებით წესი შეიძლება დროისა და მდგომარეობის მიხედვით ოდნავ შეიცვალოს კიდეც, მაგრამ მან არ უნდა დაკარგოს პირვანდელი შინაარსი და სახე.

ძველი ქრისტიანები უფრო მეტად შინაგანზე, სულზე ზრუნავდნენ და ამიტომაც მათი წესი, მათი ქცევა უფრო გონიერი და მოზომილი იყო. ახლა კი, როცა ადამიანის საზრუნავი უფრო გარეგნული გახდა (ხორციელი სილამაზე, ჩასაცმელი, სხვადასხვა კომფორტი), მისი ქცევაც და წესიც გონიერებას მოკლებულია და უშინაარსოა.

—ხომ არ გამოყოფდით რომელიმე დეტალს მოკვდავთა ცხოვრებიდან, რომელიც განსაკუთრებით ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს?

—თუნდაც მიცვალებულთა გაპატიოსნება და დასაფლავება.

—მიცვალებულთა წესის აგება, გაპატიოსნება ქრისტიანისთვის უმთავრესი მოვალეობა რომაა, ეს ყველასათვის ცნობილია საინტერესოა, რამ გააუკუღმართა იგი, რით დავცილდით ჭეშმარიტებას?

—მიცვალებულზე ზრუნვა ხორციელ მოწყალებათა ერთერთი სახეა, რითაც ჩვენ სათნო ვეყოფით უფალს, მაგრამ ის უნდა იყოს წმიდა ქრისტიანული ტრადიციიდან გამომდინარე და არა სხვადასხვა წარმართული წესით შერყვნილი და შეგინებული. ახლანდელ ადამიანს, როგორც აღვნიშნე, უფრო ხშირად აინტერესებს წესის გარეგნული მხარეები, არ იცის მისი შინაარსი და ამიტომაც ყოველგვარ ცრუ სწავლებას იწყნარებს, სწორედ ამის შედეგია დასაფლავებაზე უხამსი სიმღერები და თქვენ წარმოიდგინეთ ცეკვაც, ვითომ დაღუპულის სულის მოყვანა ძაფით, მიცვალებულისთვის საყოფაცხოვრებო ნივთების ჩატანება, წერილისა თუ სხვადასხვა მოსაკითხების გატანება, ხელში ფულის ჩადება, სახლიდან გამოსვენებისას სკამებისა და მაგიდების გადაბრუნება, მე-40 დღის აუცილებლად დასწრება ან გადაცილება, გადაჭარბებული უნაყოფო გლოვა, სასოწარკვეთილება, საფლავებზე ძეგლების დადგმა და სხვა.

ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ არ ვიცით ჩვენი რჯული, არ გვაქვს წარმოდგენა სასუფევლისა და ჯოჯოხეთის შესახებ და სახელითღა ვართ ქრისტიანები.

—მაშ, როგორ უნდა აღიქვას ქრისტიანმა „სიკვდილი", რა არის გარდაცვალება?

—სიკვდილი გადასასვლელი ზღუდეა დროებითიდან მარადიულში. ამისათვის ქრისტიანი მთელი ცხოვრება უნდა ემზადებოდეს. დედა ეკლესია მის წიაღში იფარებს ყოველ მართლმადიდებელს და ასაზრდოებს იმ საღვთო საიდუმლოებებით, რომელიც უფლისგან მიეცა მას, რათა მის მადლში განმტკიცებულნი დაუსჯელად წარდგნენ „წინაშე საშინელსა სამსჯავროსა".

ეკლესიაში არსებობს წესი სულთამბრძოლისა. რომლის დროსაც მღვდელი ლოცულობს მომაკვდავთათვის, რათა უფალთან კეთილად განჰყაროს სული ხორცისგან და „განხსნას ყოვლისა კრულებისაგან და ყოვლისა წყევისაგან განათავისუფლოს და შეიწყალოს იგი". ეკლესიის სწავლებით, ხორცთაგან გაყრილი სული განიცდის საშინელ ტანჯვასა და შიშს, მის ირგვლივ იკრიბებიან როგორც კეთილი, ასევე ბოროტი ანგელოზები. ამგვარი მდგომარეობით შეძრწუნებულ სულს ძალიან ეხმარება ჩვენგან აღვლენილი ლოცვები და ის წეს-ჩვეულებები, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ღვთივ გამოცხადებით მოგვეცა.

წმინდა მამათა ღვთივგამოცხადებითი სწავლებით, ჩვენ ვიცით საიდუმლო სულის მდგომარეობისა და განცდების შესახებ. მისი სხეულთან გაყრის შემდგომ: პირველი ორი დღე სული იმყოფება დედამიწაზე, ვერ ცილდება მის სხეულს და ძირითადად იმ ადგილებს დასტრიალებს, სადაც მას ცხოვრება გაუტარებია. მესამე დღეს ხდება სულის უფალთან აყვანება და სამოთხის სახახეების ხილვა, ამ მდგომარეობაში რჩება სული ექვსი დღის განმავლობაში, ხოლო მე-9 დღეს ანგელოზებს აჰყავთ უფალთან თაყვანისაცემად და შემდგომ ანახებენ ჯოჯოხეთის საშინელებებს. საზარეების გავლის შემდგომ მე-40 დღეს სული ისევ უფალთან აჰყავთ და ხდება მისი დამკვიდრება სამოთხეში ან ჯოჯოხეთში. დასაგმობია ცრუ სწავლება, თითქოს არ შეიძლებოდეს ორმოცის აღნიშვნა უბრალო დღეებში (ორშაბათი, ...ოთხშაბათი).

—ზემოთ უკვე ითქვა მიცვალებულთა გაპატიოსნების გაუკუღმართებული ფაქტის შესახებ, რომელიც მხოლოდ ქრისტიანული ზნეობის შელახვაზე მიგვითითებს. სამწუხაროდ, საზოგადოება გაუთვ[illegible] ნობიერებელია მიცვალებულთა ზრუნვისას აუცილებელ წეს-ჩვეულებებში..

—მიცვალებულთა გაპატიოსნებისა და დასაფლავებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულება აღწერილია სახარებაში, სადაც მოთხრობილია უფალ იესო ქრისტეს დასაფლავება. თუმცა ქრისტიანული ეკლესია ზედმიწევნით არ იმეორებს ძველი აღთქმის ამ წესს, მაგრამ მათ აქვთ საერთო შინაარსი. საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს მიცვალებულთა პატივმისაგები ძირითადი ქრისტიანული წეს-ჩვეულებები, კერძოდ: 1) წესი მიცვალებულის განბანვისა, რითაც ჩვენ გამოვხატავთ ღვთის წინაშე სუფთად და განწმენდილად წარდგომის სურვილს, 2) ვასვენებთ და ვასაფლავებთ სახით აღმოსავლეთისკენ, რაც ნიშნავს სამოთხისკენ ლტოლვას და მეორედ მოსვლის მოლოდინს. 3). შევმოსავთ მიცვალებულს შესაფერისი სუფთა სამოსლით და დავუკრეფთ გულზე ხელებს და ვაძლევთ ჯვარს. ამით გამოვხატავთ უფალთან შეხვედრისთვის მზადებას, მის მოწყალებაზე მინდობას და იმედს ჯვარცმული მაცხოვრისა, 4) ჩავასვენებთ კუბოში და ვაფარებთ ახალ[illegible] რებელს (ზოგი ტრადიციით ნათლობისდროინდელს) ნიშნად იმისა, რომ ჩვენ მარადის ვიმყოფებით უფლის მფარველობის ქვეშ. 5) მიცვალებულის თავთან ან გვერდით ვდგამთ გვირგვინს, რომელიც განასახიერებს იმ „სიმართლის გვირგვინს", რომელიც მოელის „ყოველთა, რომელთა შეიყუარეს გამოჩინებაჲ მისი" (ქრისტესი). 6). ტრადიციულად მიცვალებულის თავთან პატარა მაგიდაზე დებენ ხორბალს, ღვინოს, ზეთს და მცირეოდენ საჭმელს. 7) მიცვალებულის თავთან, ფეხებთან მარცხენა და მარჯვენა მხარეს უნდა დაიდგას 3 ღოლები სანთლებით, რაც ჭეშმარიტ ნათელში ყოფნას ნიშნავს. 8) მიცვალებულს აუცილებლად მიწაში ასაფლავებენ, რათა მიიქცეს მიწად, რისგანაც შეიქმნა. 9) მართლმადიდებლურ ეკლესიაში არსებობს ღვთივკურთხეული წესი გარდაცვლილი ერისკაცის სულის საოხად ვიკითხოთ ფსალმუნი მე-40 დღემდე.

მიცვალებულთან აუცილებლად უნდა ასრულდეს ანდერძის წესი. საფლავი აუცილებლად უნდა გათხაროს ღვთისმოშიშმა ქრისტიანმა და არა მან, ვისაც უშფოთველად შეუძლია საფლავის გათხრის დროს ნაპოვნი ძველი მიცვალებულის ძვლების გადაყრა ან უპატრონო საფლავის მიტაცება და მისაკუთრება.

ძველი ბიბლიური ტრადიციიდან მომდინარეობს საფლავის მოვლისა და მასზე ნიშანის დადების წესი, რომელიც ქრისტიანობამაც მიიღო. ქრისტიანის საფლავზე აუცილებლად დამაგრებული უნდა იყოს ჯვარი ან გულზე დადებული ლოდი ჯვრის გამოსახულებით. ზედმეტი და უსარგებლოა მიცვალებულის საფლავის მარმარილოებითა და ძვირფასი ქვებით შემკობა და რკინის მესერებით შემოღობვა.

—ღვთისმშობლის მიძინების მარხვა 28 აგვისტოს მთავრდება. ახლოვდება მარიამობა.—რას მოუსურვებთ მრევლს?

—უფლისადმი კრძალვა და თაყვანი არ მოგვიშალოს ღმერთმა.

ესაუბრა
**რუსუდან მიქენაძე**
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

# ალზრდილთა გულებში დაიმკვიდრა

ერაყ[illegible] თარაზ ალზრდის რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს გიორგი ფიფიას, ვინც უდიდესი სიყვარულით, საქმის ღრმა ცოდნით აზიარებდა ახალგაზრდობას მათემატიკის საინტერესო, რთულ მეცნიერებას.

გიორგი ფიფიამ თავისი დაუშურველი შრომით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი აღზრდილთა გულში.

ამიტომაც იმდენი სითბო და სიყვარული იყო ჩაქსოვილი შეხვედრის საღამოში, რომელიც აღზრდილებმა მოუწყეს საყვარელ პედაგოგს, ოცი წლის წინ რომ უზიარნენ ბატონი გიორგის ამოუწურავ მათემატიკურ ცოდნას.

—ხელმძღვანელობაგან დაფასება არ მაკლია, მაგრამ ახე როდი იყო 20 წლის წინ. მაშინ პედაგოგი ყოველნაირად იზღუდებოდა; არ ჰქონდა შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენის საშუალება, კერძო პრაქტიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო—ამბობს იგი.

ამ მხრივ დღევანდელობამ საგრძნობი ნაბიჯები გადადგა, იხვეწება განათლების მეთოდები.

აღზრდილები გულთბილ სიტყვებს არ იშურებდნენ. ამგვარი პედაგოგისადმი, იხსენებდნენ წარსულ წლებს, რითაც მაგალითს აძლევდნენ ახალგაზრდობას თუ როგორი უნდა იყოს აღმზრდელისა და აღზრდილის ურთიერთ დამოკიდებულება, რომ პედაგოგის მთავარი თვისება [illegible] ლის თესვაა.

საღამო ლიდხანს დ[illegible] ღებათ მის მონაწილეებს.

**ნუნუ კვარაცხელია-ნურწუმია,**
თბილისის 164-ე საშუალო სკოლის ხასწავლო ნაწილის [illegible]

წიგნის თაროს შეემატა

# სიყვარულით იღვწოდნენ

გურამ შარაძე. ამ პიროვნებას კარგად იცნობს ფართო საზოგადოება. შესანიშნავმა მკვლევარმა და ჭეშმარიტმა მამულიშვილმა თავისი საინტერესო ისტორიული ნარკვევებით ენით უთქმელი ამაგი დასდო ეროვნულ კულტურას. უსაზღვრო შრომისმოყვარეობა და მეცნიერული ალღო განსაკუთრებით ის დვრიტა, რამაც შორეულ გზებზე სამოგზაუროდ და უცხოეთის ცის ქვეშ მიმოფანტული საგანძურის მოსაძიებლად ალანთო ერის გულმხურვალე პატრიოტი. სამშობლოდან მოწყვეტილი და ბედის უკუღმართობით სხვის მიწაზე მოხვედრილი ქართველი ემიგრანტების არაერთ ნალვაწს მოჰფინა მან შუქი, გახადა ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი.

ახლახან ბატონ გურამ შარაძის ახალი წიგნი „უცხოეთის ცის ქვეშ" გამოსცა გამომცემლობა „მერანმა". ნაშრომში თავმოყრილია წლების მანძილზე შესაშური რუდუნებით მოძიებული და გაანალიზებული მასალები ერის სახელოვანი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. აქ არის წარმოდგენილი ეროვნული ემიგრაციის ისეთი ღირსეული პიროვნებები, როგორიც არიან გრიგოლ რობაქიძე, ზურაბ ავალიშვილი, ნოე ჟორდანია, ირაკლი ჩხეიძე, სპირიდონ კედია, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და სხვები. მეოცე საუკუნის ქართველი ემიგრანტული კულტურის შესახებ ამ სახისა და მოცულობის წიგნი ჩვენში პირველად გამოდის. ამდენად უდაოა, ინტერესი ამ გამოცემისადმი დიდი იქნება.

წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „წიგნის მოცულობის შეზღუდულობის გამო აქ ვერ მოთავსდა ნარკვევები ქართული ემიგრაციის ბევრ თვალსაჩინო წარმომადგენელზე როგორც პოლიტიკის, ისე მწერლობის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგიდან. ვფიქრობთ, ისინი მალე დაიბეჭდება მომდევნო წიგნში, რომელიც მომავალ წელს უნდა გამოიცეს.

# სექტემბრის ზარის მოლოდინში

ახალი სასწავლო წლის დასაწყისი ერთნაირად საზეიმოა დიდისა თუ პატარასათვის. იგი სიმბოლურად ცოდნის, სიახლის, წინსვლის, სინათლის დღესასწაულია.

მაგრამ განსაკუთრებული გულისფანცქალით ელიან ამ დღეს ახალბედები, ვინც პირველად შეაღებს ჩანთით ხელში სკოლის კარებს.

დიდი სიყვარულითა და მღელვარებით აცილებენ საბავშვო ბაღიდან აღსაზრდელებს, გზას ულოცავენ ცოდნის საინტერესო სამყაროსაკენ.

ასე იყო შამგონის № 1 საბავშვო ბაღშიც. უფროსი ჯგუფის აღსაზრდელებმა მოაწყვეს საზეიმოდ გასაცილებელი შეხვედრა (უფროსი მასწავლებელი მ. მაქაცარია). პატარებს სკოლისაკენ გზა დაულოცა ბაღის გამგემ ე. ლურწკაიამ.

შემდეგ ჩატარდა პირველი სიმბოლური გაკვეთილი, რომელშიც პატარებმა მთელი თავიანთი მონდომება და ცოდნა გამოამჟღავნეს, საგზლად რომ გაჰყვებათ სკოლის წლებშიც. გაკვეთილი მიეძღვნა ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნას.

შემდეგ გაიმართა კონცერტი.

ზეიმის დასასრულს პატარებს საჩუქრად გადაეცათ „დედაენა" და სხვა სასწავლო ნივთები.

ნატო მიქავა.

---

## ახალი წიგნები

# ფროიდი — ჩვენი თანამედროვე

ჩვენს ხელთ არის მთელ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, ფსიქოანალიზის თეორიის შემქმნელის ზიგმუნდ ფროიდის რჩეული, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა მოსკოვში 1990 წელს. ეს არის ნაშრომების კრებული იმ პიროვნებისა, რომელსაც უწოდებენ მეცნიერს და წინასწარმეტყველსაც, მეცნიერებაში ახალი მიმართულების ფუძემდებელს. უმთავრესი ისაა, რომ მის სახელს უკავშირდება არაცნობიერის ახსნა ადამიანის ფსიქიკაში.

1926 წელს „ბრიტანულ ენციკლოპედიაში" გამოქვეყნდა ზიგმუნდ ფროიდის სტატია, რომლითაც დასაბამი მიეცა ტერმინ „ფსიქოანალიზს" და მასთან დაკავშირებული ფსიქიკური პროცესების სრულიად ახლებურად ახსნას. ეს დიდი მეცნიერი იმით არის საინტერესო და შეუდარებელი, რომ მოახერხა შეეღწია ისეთ ურთულეს ტევრში, როგორიცაა ადამიანის ფსიქოლოგიის არაცნობიერი სფერო. მოგვიანებით ზ. ფროიდის აღმოჩენას სამართლიანად უწოდეს კაცობრიობის ერთერთი უდიდესი ინტელექტუალური მიღწევა. ფსიქოანალიზი — ეს არის ახალი მეცნიერება ადამიანის ფსიქიკის სტრუქტურის, პიროვნების შინაგანი კონფლიქტისა და დაცვითი მექანიზმების შესახებ.

ზ. ფროიდმა დაარღვია ბარიერი ნორმასა და პათოლოგიას შორის. მის თეორიაში ქცევა განიხილება, როგორც სიამოვნების ამოსავალი პრინციპიდან გამომდინარე ფენომენი, რომლის შესაბამისად მოქმედებს „მე". ფსიქიკური ენერგია — ლიბიდო განიცდის ტრანსფორმირებას. და ამ პროცესის წყარო დევს სწორედ არაცნობიერში. ფროიდის მიხედვით ფსიქიკური ჯანმრთელობა განპირობებულია თავდაცვის ინსტინქტებისა და მორალური მოთხოვნილებების „ჰარმონიული ბალანსით".

წიგნის წინასიტყვაობაში დამაჯერებლად არის ახსნილი, თუ რატომ იდევნებოდა ზიგმუნდ ფროიდის კონცეფცია კომუნისტური ტოტალიტარიზმის პირობებში. ვის რაში აწყობდა პიროვნების თვითანალიზისა და სულიერი ავტონომიის ძიების პრობლემები მაშინ, როცა ადამიანი გამოცხადებული იყო სისტემის ჭანჭიკად და აბსოლუტურად დათრგუნული გახლდათ, არაცნობიერში წარმოქმნილი წარმოდგენები, სურვილები, იმპულსები, შიში, მისწრაფებები და სხვა ნაირგვარი განცდები ხომ გამოცხადებული იყო აკრძალულ ფენომენად, რომელსაც დისონანსი შეჰქონდა ეგრეთწოდებული „ჰომო სოვეტიკუსის" ქცევათა ლოგიკაში.

ზ. ფროიდის რჩეული — ეს არის კაპიტალური ნაშრომი, რომელშიც თავმოყრილია მეცნიერის საუკეთესო სტატიები. მასში მკითხველი იპოვის დამაჯერებელ პასუხებს თანამედროვე ყოფისა და ცნობიერების მიერ დასმულ მრავალ თავსატეხ კითხვაზე.

---

**დრო და ყოველი ჩვენგანის ვალი**

# უცილოდ უნდა აღორძინდეს

თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოსათვის ლტოლვა უპირველეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ ყოფაში დავამკვიდროთ ახალი დამოკიდებულებები, ნორმები, ღირებულებები. ტოტალიტარული რეჟიმის მიერ შეშინებული ადამიანი უნდა განთავისუფლდეს შინაგანი არტახებისაგან, რათა მან მოიპოვოს შემოქმედებითი და ინიციატივიანი მოქმედების ასპარეზი. დროული, ბევრის გადამტანი კაცი გახლავართ და დაბეჯითებით შემიძლია ვამტკიცო: მოზღვავებულ ურთულეს პრობლემებს ვერ დავძლევთ, თუ ყოველმა ჩვენგანმა ახალი საქართველოს მშენებლად არ წარმოიდგინა თავი. თუ ღრმად არ გაითავისა ის ჭეშმარიტება, რომ ნებისმიერი საქმე მაღალი პასუხისმგებლობის დონით, შრომის კულტურით და ადამიანური კეთილსინდისიერებით არის საკეთებელი.

[illegible] სოფლად თავჩენილი საშრომელ-საზრუნავი. არაფერს ვიტყვი ახალი საწარმოო სტრუქტურების დანერგვის ტენდენციაზე. ყურადღება მინდა გავამახვილო სოციალური კეთილმოწყობის საერთო დონეზე, რაც პირველ რიგში აწუხებს აქაურ მკვიდრთ. დღეს, როგორც არასდროს, ამ სფეროს წინ წამოწევის საქმეში საგანგებო ინიციატივას უნდა იჩენდნენ საკრებულოს წევრები. ამასწინათ გაზეთში იყო ცნობა იმის თაობაზე, რომ ბალტიისპირეთის ერთერთ სოფელში სახალხო ინიციატივის დონეზე მოაწყვეს მოხდენილი ფორმის ავტობუსის მოსაცდელი, ააგეს მამა-პაპური ფაცხა, სადაც ეწყობა ქორწილები, ბავშვების მონათვლა, ეროვნულ არმიაში წვევამდელის გაცილება და ა. შ. ვიმედოვნებ, რომ დეპუტატთა ამდაგვარი ძალისხმევით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება ჩვენი რაიონის სოფლებში. ამის ნიშნები უკვე იგრძნობა ზედაეწერში, ინგირში, ახალაბასთუმანში, ნარაზენში და რიგ სხვა სოფლებში.

ყველას, ვინც დღევანდელობამ დააყენა საპასუხისმგებლო უბნებთან, მოვუსურვებთ ნაყოფიერ გარჯას მრავალნატანჯი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ა. ალანია.

---

**ეს საინტერესოა**

# ხელმძღვანელი კადრების ხელფასის „რეკორდსმენი"

შვეიცარია ყველაზე გულუხვი ქვეყანაა დასავლეთ ევროპაში მსხვილი კომპანიების ხელმძღვანელთა შრომის ანაზღაურების მხრივ. კომპანია „პი-ი ინტერნეშნლის" მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად შვეიცარიაში „საშუალო" ფირმის დირექტორის ხელფასი, რომლის წლიური ბრუნვა 75 მილიონი გირვანქა სტერლინგია, შეადგენს 130,6 ათას გირვანქა სტერლინგს წელიწადში. ეს თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე შეერთებულ სამეფოში, რომელმაც 11 გამოკვლეული ქვეყნიდან 10 ადგილი დაიკავა.

მეორე ადგილზეა — ესპანეთი, სადაც ამ კატეგორიის ხელფასი დაახლოებით 128 ათასია, მესამეზე — გერმანია (103 ათასამდე). კლუბის მხრივ შემდეგ მოდიან იტალია, საფრანგეთი, ბელგია, შეერთებული სამეფო და ირლანდია (61,5 ათასი).

(საქინფორმი).

---

# დეპუტატთან შეხვედრა

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობაში ამომრჩევლებმა შეხვედრა მოუწყვეს დეპუტატ ბეჟან გუნავას.

გაიმართა გულახდილი საუბარი. სხვადასხვა მტკივნეულ ცხოვრებისეულ საკითხებზე გამართულ კამათში აქტიურად ჩაებნენ ა. ბულია, ე. მოსიძე, შ. ესართია, ე. დადვანი, ც. ნადარაია, ზ. თოლორაია და სხვები. ამომრჩეველთა ერთიანი მოთხოვნით დაისახა ღონისძიება მთელი რიგი საკითხების მოსაგვარებლად, ამავე დროს კატეგორიულად მოითხოვეს პრეფექტთან შეხვედრა.

მ. ბუცხრიკიძე,
სიანეთის ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე.

---

# იჩქარეთ, შეუდექით საქმეს

ვიცნობ ერთ დროულ კაცს, რომელიც საკმაოზე მეტად აჯანჯღარა ცხოვრებამ, მაგრამ რომ იტყვიან, ეშმაკის კვალში მაინც ვერ ჩააყენა. და რაც ერთობ თვალში საცემი შტრიხია მის ბიოგრაფიაში, ფუტკარივით ნიადაგ მოფუსფუსე და თადარიგიანი ვინმეა. ამ რამდენიმე წლის წინათ განგებამ ეს ღვთისნიერი ადამიანი სასტიკად დაწიხლა, უმრწემესი შვილი წაართვა.

ჩემს თვალწინ, რამდენიმე დღეში შეიცვალა ეს ქარმაგი ვაჟკაცი. თვალებში სხივი ჩაუქრა. მისი არსება მთლიანად მწუხარებამ მოიცვა.

ეს ჩემი კეთილი ნაცნობი ბოლო ხანებში თვალს მიეფარა. ამასწინათ შემთხვევით შევხვდი, გამოცვლილი მეჩვენა. სახეზე სიმშვიდე დაჰფენოდა. ფრთხილად, სათქმელის მოზომვით გამოვესაუბრე, რასა იქმ, როგორ ცხოვრობ მეთქი, ვკითხე. წუთით თვალები მოეღრუბლა, დაუფარავი ცნობისმოყვარეობით დამაცქერდა და ასე მომიგო:

შვილის დაღუპვამ თავზარი დამცა. ღამეებს თეთრად ვათენებდი, არც ჭამა მინდოდა, არც ვინმესთან საუბრის თავი მქონდა. შინაგანად ვგრძნობდი, რომ ვიდექი რაღაც ემით უთქმელი, იდუმალი საშიშროების წინაშე, რომელიც სევდის მორევში დანთქმას მიქადდა..

...ერთ ჩვეულებრივ დღეს, დილა უთენიაზე წამით რაღაც განათდა ჩემს გონებაში. მერე ამ ფიქრმა გამიტაცა.., და ჩემს ცნობიერებაში ჩაიბეჭდა ასეთი აზრი: მხოლოდ შრომით, საქმეში მაქსიმალური ჩაბმით შემეძლო დარდის შავი წერტილებისაგან სულის განთავისუფლება.

ჩემმა მოსაუბრემ ცოტა ხნით საუბარი შეწყვიტა. წუთიერად განახლებული ტკივილისგან სუნთქვა შეკრულმა მწარედ ამოიოხრა და განაგრძო: გადავწყვიტე, ძირითადი პროფესიის გარეთ მეძებნა თავშესაქცევი საქმე. მიწის ნაკვეთი ავიღე, შიგ სხვადასხვა ჯიშის ხეხილი დავაბინავე, ტბორი მოვაწყვე და სულ მოკლე დროში შიგ ვერცხლისფერი თევზები მოვაშენე. ერთი სიტყვით, საქმემ ისე გამიტაცა, რომ წუხილისა და შფოთვისთვის დრო აღარ მრჩებოდა.

როცა ქალაქში ასე მრავლად მიმოფანტულ ახალგაზრდებს ვუყურებ, ამ ჩემი ძველი ნაცნობის საუბარი მომაგონდება. უმიზნოდ, უფუნქციოდ დარჩენილ ყმაწვილკაცს საშიშელი მოწყენილობა დაეუფლება ხოლმე. ის შინაგანად შფოთავს, ადგილს ვერ პოულობს, უსაქმოდ ყოფნა ბეზრდება და ათასგვარი უამური ფიქრებს წამოუშლის. და აი, ვის შეუძლია ახეთ დროს ლამის „ფსიქონევროტიკად" ქცეულ ამ ახალგაზრდას სულიერი სიმშვიდე, სრულფასოვნების განცდა დაუბრუნოს? ალბათ, შრომას, რაღაც გარკვეული საქმის კეთებას, რომელშიც პიროვნება საკუთარი უნარის რეალიზაციის საშუალებას იპოვის. ვერავითარი წამალი ვერ შეცვლის „შრომით თერაპიას", რომელსაც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მიმართავდნენ ბერძენი ექიმები სასოწარკვეთილებისაგან პაციენტთა განსაკურნავად.

ჩვენი ცხოვრება თანდათან სულ უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი ხდება. საკუთრებისა და წარმოების სხვადასხვა სტრუქტურები ადამიანური შესაძლებლობის, კერძო ინიციატივის ფართოდ გამოვლენის პირობებს გვთავაზობს.

ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს ჭკუას ვასწავლიდე. უბრალოდ მსურს ასე შევეხმიანო ასეულობით ჩემს უმცროს მეგობარს: ნუ გამოედევნებით ყალბ ღირებულებებს. ნუ დაკარგავთ დროს, იჩქარეთ, გაიჩინეთ კონკრეტული საქმე და თავდა[illegible].

და მაშინ თავად დარწმუნდებით, რაოდენ მშვენიერი და საინტერესო ყოფილა სიცოცხლე. სიცოცხლე, რომელსაც დაუბრუნდა აზრი და ხვალინდელი [illegible] რწმენა.

ჯ. თელია.

---

რედაქტორის მოადგილე ზ. ცხონდია.

# ინგირის № 77 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი აცხადებს

არასრული და საშუალო განათლების მოსწავლეთა მიღებას 1 და 3 წლიანი სწავლების ვადით 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროფესიებზე:

სამწლიანი სწავლების ვადით:

1. ფართო პროფილის ტრაქტორისტ მემანქანე, 2. სასოფლო მშენებლობის ოსტატი.

ერთწლიანი სწავლების ვადით:

1. ავტომანქანის მძღოლი (5 თვე.), 2. მძღოლ-ზეინკალი. 3. სოფლის მეურნეობის მოწყობილობათა მომსახური და შემკეთებელი ელმონტიორი მძღოლის უფლებით. სამწლიანი ჯგუფების მოსწავლეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი პროფესიები სურვილის მიხედვით: ჭრა-კერვის, ქსოვის, მანქანაზე წერის საოჯახო მედიცინის, კულინარიის, ჩვილ ბავშვთა მოვლის.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები პროფესიასთან ერთად, მიიღებენ საშუალო განათლებას და მიეცემათ დიპლომი.

სწავლის პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამჯერადი კვებით, კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლით, ქალაქის ტერიტორიაზე უფასო ტრანსპორტით. ყოველთვიური სტიპენდიით 80 მანეთამდე, წარჩინებულებს კი 100 მანეთი. ამასთან კვების კომპენსაცია ყოველთვიურად 40 მანეთი,

სასწავლებელში სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად. საწარმოო პრაქტიკას გაივლიან სურვილის მიხედვით, როგორც სასწავლებლის სასწავლო მეურნეობაში, ასევე რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებსა და საწარმოო-დაწესებულებებში. სწავლისა და შრომის წარჩინებულები საკონკურსო შერჩევით საწარმოო პრაქტიკას მთლიანად გაივლიან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში.

საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მიეცემათ გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი, ხოლო სასწავლო მეურნეობაში გამომუშავებული თანხის 100 პროცენტი.

კურსდამთავრებულები მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოდ განაწილდებიან. ძირითადად იმ საზოგადოებრივ მეურნეობებსა და საწარმოო დაწესებულებებში, სადაც გაიარეს საწარმოო პრაქტიკა.

სასწავლებელი მთლიანად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური ინჟინერ-პედაგოგიური კადრებით.

სასწავლებელში მუშაობს სპორტული სექცია, მხატვრული თვითშემოქმედებითი წრეები, ჩამოყალიბებულია თვითმოქმედი დრამატული თეატრი, შექმნილია სხვადასხვა ახალგაზრდული კლუბები, სასწავლებელს ემსახურება მდიდარი ბიბლიოთეკა, სასწავლო მეურნეობა, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სასწავლო სახელოსნო, პოლიგონი, სასწავლო ტექნიკა, სასწავლო მეურნეობაში დანერგილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების იჯარული ფორმები. სასწავლებელში მიღება განხორციელდება გასაუბრებით.

მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: განათლების მოწმობა დედანი, დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ფოტოსურათი 3X4 ზომით 6 ცალი.

სწავლა მიმდინარეობს ქართულ ენაზე, საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე, ყოველდღე გარდა კვირისა.

ჩვენი მისამართია: ინგირი ია. ადამიას ქ. 2.

ტელეფონები: 2-57-98, 5-17, 5-18, 5-19.

---

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

23 აგვისტოს 19 საათზე ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობენ როკ ჯგუფი „ოკეანე", ვახტანგ მაკალათია, აგრეთვე მერაბ მამულაშვილი, დავით ტაბლიაშვილი, კაკო ვაშალომიძე, გოგის ძნელაძე მიხეილ მელაძე.

ბილეთის ღირებულება ხუთი მანეთია.

კონცერტზე შესასვლელი ბილეთი გაიყიდება ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის სალაროებში: 22, 23 აგვისტოს დილის 10 საათიდან.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში".

---

## ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი

(დავით აღმაშენებლის ქუჩა № 4)

26 აგვისტო 1991 წელი

საქართველოს მესამე ეროვნული ჩემპიონატი

(უმაღლესი ჯგუფი)

„ოდიში" ზუგდიდი — „შევარდენი" თბილისი

დასაწყისი 18 საათზე.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი ჩატარდება 25 აგვისტოს ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე 17 საათზე, წვიმიანი ამინდის შემთხვევაში მატჩი გაიმართება ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის სტადიონზე. მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის სალაროებში 25, 26 აგვისტოს, დილის 10 საათიდან. ძალაშია სტადიონზე შესასვლელი აბონემენტი, ტალონი № 12.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში"

---

მეუღლე დუნია, შვილები: ჯუმბერი, მერი, ტარიელი, ანატოლი, ანზორი, და ქენია, სიძეები: ენვერ შამუგია, დათო გოგია, რძლები: თამარი, ნანული, დალი, იამზე, ნუნუ, ცოლისძმა გივი ლომაია, შვილიშვილები: პაატა, მერაბი, კახა, ეკა, ლევანი, მაკა, თამუნა, ირაკლი ჩუხუები, დათო, ზაზა შამუგიები, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან.

**ჯოგო ქუზუს ძე ჩუხუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24, 25 აგვისტოს, დაკრძალვა 26 აგვისტოს სოფ. ჭაქვინჯში.

---

სიდედრი გოგუცა ხასია, ცოლისდა ნარგიზა ჯოლოგუა, ქვისლი გურამი შვილებით შალვა და ზაზა შელიებით იუწყებიან

**ოთარ (ყარამან) თენგიზის ძე ძიმისტარიშვილის**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 22, 23 აგვისტოს დაკრძალვა 24 აგვისტოს, გამოსვენება ქ. სოხუმი მდინარის გალმა № 15.

---

სიდედრი ვალია, შვილები ნელი, ზაირა, ნანული, გურამი ფიფიები, სიძეები ნოდარი სართანია, ვალიკო თოლორაია, შვილიშვილებით: ბადრი, ბესიკი ძიმისტარიშვილები. ნანა, კახა, კობა სართანიები, თეონა, დათო თოლორაიები. რძლები მარინა კუზმინა, ნონა გეგელია იუწყებიან

**ზურაბ ალექსანდრეს ძე ხუჭუას**

გარდაცვალებას.

---

გრიგოლიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს გრიგოლ ქორთუას დედის

**ნაზია სერაპიონის ასულ კვარაცხელია-ქორთუას**

გარდაცვალების გამო.

---

დედა ნათელა, მამა ომარი, მეუღლე ნანა ლაგვილავა, შვილი ანი, და დალი, ძმა პაატა ქარჩავები, სიდედრი ანგელინა ფიჩხაია, სიმამრი ნაპო ლაგვილავა ცოლისდა მარინე. რძლები: მარიკა ჯიჯიხია, ნინო კვარაცხელია. სიძეები: მამუკა ეხვაია, ნუგზარ გაგუა, ჯუმბერ ჯინჯოლავა, ვახტანგ ქირია. მამიდა ნათელა, დეიდა ციცა კვარაცხელია. ბიცოლები: ციალა საჯაია, ლინა ჩახაია, ვერა ქირია. ბიძები: ჯვებე, ავთანდილი ქარჩავები, ჯანიკო გუგუჩია, დომენტი კვარაცხელია. ძმისშვილი გოგა ქარჩავა, დისშვილები ეკა, ნათია ეხვაიები. ბიძაშვილები ჟორჟე, ელისო, თამაზი გუგუჩიები, მარინა, როლანდი, კოტე, დათო ქარჩავები. მამიდაშვილები ლუიზა, ნუგზარი, ზაური, ანზორი ახალაიები. დოდო, ბადრი ბაყაშვილები. დეიდაშვილები სულიკო, სოსო კვარაცხელიები. ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ბადრი ომარის ძე ქარჩავას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 23, 24, 25, 26 აგვისტოს, დაკრძალვა 27 აგვისტოს სოფ. ოდიშში (სინწა).

---

მეუღლე პანტე. შვილები: ზაური, ლილი, ნარგიზა, დები: შურა, ბაბული. ძმები: დავითი, ვასო ჭანტურიები. რძლები: ნიურა, ციალა, ნუნუ. შვილიშვილები: მაია ტოროტაძე, დოდო, ლალი, მანონი ხვიჩიები, ხათუნა ოყუჯავა. სიძეები: კაკო ზარქუა, გვანჯი ბექუა, რუსლანი თოლორაია, ზურაბი ხარებავა, ბადრი კობახიძე. ბიცოლი ქორიკო ჭანტურია. დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**უშული ვლადიმერის ასულ ჭანტურია-ტოროტაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23 აგვისტოს, დაკრძალვა 24 აგვისტოს, შამგონაში.

---

შვილები შუშანიკა, შურა, თინა, ლეილა, ნუნუ, შოთა, ბიჭუნა, ვახტანგი, სიძეები ლულუნი ცხონდია, ჯემალ დგებუაძე, სერგო დარასელია, რძლები ლუნა შენგელია, გული ჯანაშია, ნელი აბშილავა, ნონა დაჩქელავა, მული ვერა პატარაია, შვილიშვილები: ზაირა, რუბენი, ჯამბული ცხონდიები, მერაბი, ნონა რაფავები, მარინა, ემა, ემზარი ნანავები, კახა, ალიკა წოწერიები, ელგუჯა, ჯონი დარასელიები, ბადრი, გია დგებუაძეები, ნინო, ეკა, ნათია, სოფიკო, დიმა შენგელიები, ძმისშვილები ნარგიზა, ნინელი, დალი, ხუნტული, მურმანი, ზაური, რევაზი, კლარა, თემური არჩაიები, დისშვილები ვარვარა, ნელი, გივი ჯიქიები, შვილთაშვილიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლენა ფარნას ასული არჩაია-შენგელია.**

პანაშვიდი 22, 23, 24 აგვისტოს, დაკრძალვა 25 აგვისტოს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება თბილისის № 9-დან 18 საათზე.

---

ძმა ვასო ჭანტურია რძალი ნუნუ ჩოჩია, შვილებით დათო, თემურით, რძლით მაიათი იუწყებიან

**უშული ვლადიმერის ასულ ჭანტურია-ტოროტაძის**

გარდაცვალებას.

---

ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის აპარატი, ქალაქის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს ნათელა ფიფიას მეუღლის

**ზურაბ ალექსანდრის ძე ხუჭუას**

გარდაცვალების გამო.

---

ხულონჰესის დირექციის კოლექტივი იუწყება თანამშრომლის

**ზურაბ ალექსანდრეს ძე ხუჭუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი თენგიზი ჯალაღონია, და მარუსია, ძმა ტარიელი, რძალი რუსიკო ბეზარაშვილი. შვილიშვილები: ირაკლი თამრიკო ჯალაღონიები, დისშვილები: ალინა, ნარგიზა, სვეტლანა, მურმან, გურამ ჯიჯელავები. ძმისშვილები: ელისო, მანანა, მალხაზ, ვახტანგ კვარაცხელიები, ბიძაშვილები: თამარა, ფედოსია, შურა კვარაცხელიები, ლულუნი, შაქი, ხუტა, გივი, ნოდარი, ბაბუცა, დარეჯან, ჟორჟი კალანდიები, მიშა, გენო ჯალაღონიები, შაქი კვარაცხელია. მულისშვილები ჯაკო ქანთარია, რევაზ კვარაცხელია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბაჩუა სიმონის ასული კვარაცხელია-ჯალაღონია**

პანაშვიდი 23, 24 აგვისტოს, გამოსვენება 25 აგვისტოს 4 საათზე. ქ. ზუგდიდი, გორკის ქ. №37.

---

დედა ნორა, მეუღლე ნათელა ფიფია, შვილები: ნესტანი, ზაალი, და ირა, ძმა ფრიდონი, რძალი მარინა კობიძე, სიძე ჯემალი სტურუა, დისშვილები: ნინო, ალიკო. ძმისშვილები: ლევანი, ირაკლი, ბიძა ბოჩია ჯგერენაია, დეიდა ბაბუცა ხურცილავა. სიდედრი: ვალია, ცოლისდები: ნელი, ზაირა, ნანული. ცოლისძმა გურამი ფიფიები, ბიძაშვილები: ავთანდილი, კოჭა, დურმიშხანი, ვალოდია ხუჭუები, გიული, ალიოშა, ჟანა ჯინა ჯგერენაიები, დეიდაშვილები: თალიკო, გივი, ვახტანგი ხურცილავები, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზურაბ ალექსანდრეს ძე ხუჭუა**

პანაშვიდი 22 აგვისტოს (ზუგდიდი დავით აღმაშენებლის 16), გადასვენება 22 აგვისტოს 17 საათზე, სამტრედია, გეგეჭკორის ქ. 118-ში, პანაშვიდი 23, 24, 25 აგვისტოს დაკრძალვა 27 აგვისტოს 17 საათზე.

---

„საქენერგოს" ზუგდიდის ელქსელის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დირექტორის მოადგილის

**ზურაბ ალექსანდრეს ძე ხუჭუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი გენო რძლები ნინო, ავრა, შვილიშვილები: მირანდა, მედეა, თემური, მაზლი ვარლამი ფარცხალაიები, ძმისშვილი ეთერი შვილებით ელზა, ზვიადი მგალობლიშვილები. მამიდაშვილი ნელი კვიკვინია, მაზლიშვილები: გიგლა, გიმული, ნათელა, ჟორჟი, თინიკო, გული ნათელა ფარცხალაიები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ეკატერინე (კატუშა) გახუს ასულ კუჭავა-ფარცხალაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23, 24 აგვისტოს, დაკრძალვა 25 აგვისტოს, სოფ. რიყეში.

---

დედა ვერა, მამა გრიშა, მეუღლე ვაჟა, შვილები: ნუგზარი, ნუნუ, მამუკა დები: მერი, ეთერი. ძმები: ანტიფო გეთია, გაია, ლევთერი, ომარი ფაცაციები. რძლები მარგო ფარცვანია, ელისო მიქავა, ირმა კიკავა, მიმოზა ბულია, ავილინა კუტალია, თინა ჯანჯღავა. სიძეები: ალიკო ფითია, ანზორი ლაშხია, ჟორა სიგუა, შვილიშვილები: თამრიკო კესო მოსიძეები: გოგა, იკა ფითიები. ძმისშვილები: ჯანიკო, მურმანი, მამუკა, მთვარისა გეთიები, გია, ბესიკი, თათო მალხაზი, აბესალომი, ინდირა, დიანა, დიმა ფაცაციები. დისშვილები: დარეჯანი, დარიკო, ლია, ვიტალი ლაშხიები, გელა, ნანა გიგა სიგუები მამიდა ჩიქა, მამიდაშვილები ჟორა, ლამარა გეთიები, ნორა, ნელი, მეგონა, ალიკო ოდიშარიები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ფუფუნა გრიშას ასულ ფაცაცია-მოსიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23, 24 აგვისტოს, დაკრძალვა 25 აგვისტოს 5 საათზე, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, საბჭოს ქ. № 150.

---

სოფელ გრიგოლიშის საკრებულო და შრომითი კოლექტივი თანაუგრძნობენ საკრებულოს გამგებელს გრიგოლ ქორთუას დედის

**ნაზია სერაპიონის ასულ კვარაცხელია-ქორთუას**

გარდაცვალების გამო.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80, რედაქტორის მოადგილის 2 38 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2 25 12, რადიორედაქციის 2 17 00.

ბეჭდვითი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა _ მერაბ კოსტავას ქ. №56, 2 23 07, ტირაჟი 8000 შეკ. № 3906